რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 480/თ

„14“ სექტემბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულო კოდექსის 61-ე მუხლის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისა და ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა ტრენინგების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის №1/218 გადაწყვეტილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირებად დადგინდეს:

   ა) რუსთავის საქალაქო სასამართლოში - რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატური - IV რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ***ქეთევან თაბაგარი;***

   ბ) გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში - რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატური - IV რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - **ლაშა რევაზიშვილი;**

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის თაობაზე“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარის 2023 წლის 16 იანვრის №12/თ ბრძანება;

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს;

4. ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 14 სექტემბრიდან;

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე